

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და მკვლევარობის რეცეფციის  
თავისებურებები გურამ ბათიაშვილის პიესაში  
„მოზრუნებული ქართველები“

ნესტან კუტივაძე

nestani.kutivadze@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.15>

გურამ ბათიაშვილი სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის 60-იანი წლებში გამოდის, როდესაც მრავალი საგულისხმო ტენდენცია ვითარდება ქართულ ლიტერატურაში და უაღრესად შთამბეჭდავი ტექსტები იქმნება თითქმის ყველა ჟანრში. პუბლიცისტმა, პროზაიკოსმა და დრამატურგმა მის მიერ ასახულ პრობლემათა თუ ქართულ-ებრაული ურთიერთობების მხატვრული ინტერპრეტაციით, გადაწყვეტის ორიგინალურობით, უშუალოდ იმთავითვე მიიქცია ყურადღება. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს როგორც რომანები, ისე დრამატურგიული ნაწარმოებები, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც პიესა „მოზრუნებული ქართველები“, რომელიც ილია ჭავჭავაძის მკვლევარობასთან დაკავშირებულ პერიპეტებს ასახავს. გამორჩეული მოაზროვნის მხატვრული განსახოვნება ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა თანამედროვე ქართულ მწერლობაში, რასაც ხელი შეუწყო XX საუკუნის ბოლოს მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა. მართალია, „საუკუნის მკვლევარობა“ უკვე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არ იცვლება ემოციური დამოკიდებულება ილიას ტრაგიკული აღსასრულის მიმართ. მხატვრული რეპრეზენტირება ხელს უწყობს ილიას მოღვაწეობის სიღრმისეულ გააზრებასა და ჭეშმარიტი ღირებულებების არსში წვდომას, რაც დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ მუდმივ პროცესში მონაწილეობენ თანამედროვე ქართველი ავტორები, რომელთა შორისაა გურამ ბათიაშვილი.

**საკვანძო სიტყვები:** დრამატურგია, მხატვრული რეპრეზენტაცია, რეფლექსია.

გურამ ბათიაშვილი სამწერლო ასპარეზზე XX საუკუნის 60-იანი წლებში გამოდის, როდესაც მრავალი საგულისხმო ტენდენცია ვითარდება ქართულ ლიტერატურაში და უაღრესად შთამბეჭდავი ტექსტები იქმნება თითქმის ყველა ჟანრში. პუბლიცისტმა, პროზაიკოსმა და დრამატურგმა

## 6. კუტივადე

---

მის მიერ ასახულ პრობლემათა თუ ქართულ-ებრაული ურთიერთობების დაფარული შრეების მხატვრული ინტერპრეტაციით, გადაწყვეტის ორიგინალურობით, უშუალოდ იმთავითვე მიიქცია ყურადღება. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს როგორც რომანები, ისე დრამატურგიული ნაწარმოებები (იხ. ნიკოლეიშვილი 2008), გამონაკლისს არ წარმოადგენს არც პიესა „მოზრუნებული ქართველები“, რომელიც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მკვლევლობის პერიპეტიებს ასახავს.

ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ფიგურა, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მასშტაბურად იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ „მგზავრის წერილების“ ავტორი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აღიარებული იყო XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერად და წინამძღოლად. XIX საუკუნის ბოლოსა თუ XX საუკუნის პირველ ნახევარში მის წინააღმდეგ წარმოებული ცილისმწამებლური კამპანია, არაერთი პუბლიკაცია მიზნად ისახავდა ილიას ბრძოლის დაკნინებას, მისი იდეების დევალიზირებას, მისი მკვლევლობისათვის საზოგადოების მომზადებას (გურული 2008; გურული 2014; შველიძე 2013-2014: 218-238 და სხვ.). ამ ტრაგიკულმა მოვლენამ ერის ცხოვრებაში არა მხოლოდ წარმოაჩინა რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკა, არამედ აჩვენა ქართველი ხალხის შეურიგებლობაც.

გამორჩეული მოაზროვნისა და შემოქმედის მხატვრული განსახოვნება ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა თანამედროვე მწერლობაში, რასაც ხელი შეუწყო XX საუკუნის ბოლოს მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა. მართალია, „საუკუნის მკვლევობად“ შეფასებული მოვლენა უკვე საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არ იცვლება ემოციური დამოკიდებულება ილიას ტრაგიკული აღსასრულის მიმართ. მხატვრული რეპრეზენტირება ხელს უწყობს ილიას მოღვაწეობის სიღრმისეულ გააზრებასა და ჭეშმარიტი ღირებულებების არსში წვდომას, რაც დღესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ მუდმივ პროცესში მონაწილეობენ თანამედროვე ქართველი ავტორები, რომელთა შორისაა გურამ ბათიაშვილი.

„მოზრუნებულ ქართველებს“ ერის ბედის პიესა-კვლევას უწოდებს ავტორი, რაც პირდაპირ აჩვენებს მწერლის მიზანს, ჩაწვდეს იმ მიზეზებს, რომლებმაც იმ მდგომარეობამდე მიიყვანა ქვეყანა, რომ იმპერიის ნების აღმსრულებლებად ყალბი ლოზუნგებით დაბრმავებული და გაბოროტებული ადამიანები – ისევ ქართველები – იქცნენ. „დღეს ჩვენ გვინდა თქვენთან ერთად მივადევნოთ თვალი ილია ჭავჭავაძის ცხოვრების ბოლო წლებს. ერთად გადავხედოთ, თუ როგორი გახლდათ ბედი ამ უზენაესი ქართველისა“, - თავიდანვე ამზადებს მკითხველს/მაყურებელს ავტორი (ბათიაშვილი 2013: 355).

პიესაში გადმოცემული ამბის დროდ გურამ ბათიაშვილს მონიშნული აქვს 1907 წელი, ადგილად კი – საგურამოს შემოგარენი, რაც გასაგები ლოკაციაა, მაგრამ მწერალი შიგადაშიგ არღვევს მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ქრონოტოპს, ავტორის ნიღაბს ირგებს და დიალოგს იწყებს მკითხველთან/მაყურებელთან. ცხადია, რომ ტექსტი ამბის გადმოცემაზე მეტად მომხდარის მიზეზების გააზრებაზეა ორიენტირებული. ამ მიზნით, პიესაში მთხრობელის ფუნქციას ასრულებენ პირველი და მეორე ივერიელი (გაზ. „ივერიის“ თანამშრომლები), რომლებიც შემოდინან მოქმედების მსვლელობაში და მაშინდელი პერიოდული გამოცემების მიხედვით აღადგენენ მოვლენათა თანამიმდევრობას, განმარტავენ ვითარების არსს, მკითხველს/მაყურებელს აუწყებენ ილიას მოღვაწეობის შეფასებასა და მკვლელობასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებული განსხვავებული მოსაზრებების შესახებ. პიესის დასაწყისში კი მათი მეშვეობით გაცხადებულია ილიას მოღვაწეობის ავტორისეული რეცეფცია – „ეს არის ამბავი საქართველოს გადარჩენისათვის თავისსავე ხალხთან უიღბლო ბრძოლისა“ (ბათიაშვილი 2013: 355). მწერალმა ამგვარად შეაფასა ის მოვლენები, რომლებიც ილიას მკვლელობით დაიწყო 1907 წელს და 1921 წელს საქართველოს ოკუპაციით დასრულდა. საგულისხმოა, რომ, ტექსტის მიხედვით, ივერიელები ილიას ერთგული თანამებრძოლები არიან გაზეთ „ივერიაში“ მისი დაარსების დღიდან. ბათიაშვილი ხაზს უსვამს ასეთ დეტალს, რომ მათ „საქართველოს სამსახური“ გააგრძელეს მაშინაც, როდესაც ილია აღარ რედაქტორობდა გაზეთს, რაც მნიშვნელოვანი პასაჟია ილიას ერთგულ თანამოაზრეთა არსებობის, მისი მოღვაწეობისა და თავდადების წარუშლელი კვალის აქცენტირებისათვის.

პიესის კომპოზიციაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება მიზანსცენებს. როგორც ავტორი მიუთითებს, წარმოდგენა უნდა გათამაშდეს რამდენიმე სცენურ სივრცეში ერთდროულად. დრო-სივრცულ დეტალებზე ყურადღების გადატანით აქცენტირებულია შინაარსობრივი პლანები. პიესის ერთიანი დრო-სივრცე – საგურამოს შემოგარენი 1907 წელს – რამდენიმე სცენურ სივრცედაა დაშლილი. ერთი ესაა წიწამურის ტყის სცენური გარემო, მეორე კი – გრძელი მაგიდის ირგვლივ არსებული სცენური სივრცე. ამ სცენოგრაფიული დეტალებით შექმნილ გარემოში ერთმანეთის პარალელურად ხდება მოქმედება, სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ, წინა პლანზე ხან ერთი სცენური გარემო წამოიწევეს/ნათდება, ხან მეორე. ამ სივრცეების მიღმა არიან პირველი და მეორე ივერიელი, რომლებიც მაშინდელი პუბლიკაციების შინაარსს გადმოსცემენ. ამ გზით ავტორი არამხოლოდ აზრობრივ აქცენტებს სვამს, არამედ მაყურებელს/მკითხველს მაშინდელ საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ვერსიებს შეახსენებს.

## 6. კუტივაძე

---

ტექსტის მხატვრული კონცეფციის გასააზრებლად საგულისხმოა ილიას მკვლევლობის ვერსიების განსახოვნების თავისებურებები.

მწერალი, ბუნებრივია, ისტორიულ ცნობებში არაფერს ცვლის, არ ქმნის ახალ ლეგენდას, თუმცა ამ ყოველივეს გვთავაზობს ინდივიდუალური მგრძნობელობით. მათში წარმმართველია მაშინდელი აღქმები, რომელთა გაუცნობიერობლობამ შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში, ილიას მკვლევლობა გარდაუვალობად აქცია, ხოლო მკვლევლები ბრმა იარაღად. ეს უკანასკნელი პასაჟები კარგად აირეკლა იმ ეპიზოდებში, ტყეში გახიზნულთა რეაქციას რომ ასახავს ილიას მოკვლის დავალების მიღებასთან დაკავშირებით.

პიესის მიხედვით, პირველი ვერსია ილიას მეფის „ოხრანკის“ მიერ მკვლევლობის შესახებ გავრცელებული ვარაუდია, რომელიც „ოხრანკის“ პოლკოვნიკისა და ოფიცრის დიალოგით განსახოვნდება. მასში მკაფიოდაა გამოკვეთილი ილიას როლი და ავტორიტეტი ეროვნული ავტონომიისათვის ბრძოლაში. ხაზგასმულია დაპირისპირება ილიას იდეებსა და „მესამე დასის“ წევრებს შორის. მწერალი აქცენტს ამგვარად სვამს – საქართველოს ავტონომიის მიღების შემთხვევაში, ილია მეფის წინააღმდეგ ბრძოლას არ გააგრძელებს, ის დაუპირისპირდება სოციალ–დემოკრატებს (ესდეკებს), რომლებსაც იმპერიის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, მხოლოდ მეფის გადაგდება უნდათ (ბათიაშვილი 2013: 389). პიესაში ეს დაპირისპირება წარმოდგენილია, როგორც „ისტორიის მიერ შემუშავებული გეგმა“ (ბათიაშვილი 2013: 389), როდესაც თავად ჭავჭავაძის შეუპოვარი პოზიცია განაპირობებს მისი მოკვლის აუცილებლობას, რადგან ილიას „საქართველო უნდა“ (ბათიაშვილი 2013: 389), „ესდეკებს კი საქართველო იმპერიაში“ (ბათიაშვილი 2013: 389). ასეთ ვითარებაში რუსეთისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ეყოლება თუ არა მეფე, მთავარია რუსეთის იმპერიაში დარჩეს საქართველო. ამდენად, რუსებს აძლევთ ხელს ესდეკებმა იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო თავად მოკლან ილია. მწერალი აპელირებს ქართველთა არცთუ სანაქებო თვისებაზე, რომ საქართველოში განსხვავებული აზრი ხშირად დაუნდობლობის სათავეა (ბათიაშვილი 2013: 388).

მეორე ვერსია ილიას მკვლევლობისა, პიესის მიხედვით, ასევე, კარგად ნაცნობი ვარაუდია, რომ ილია, როგორც სასტიკი მემამულე, გლეხებმა მოკლეს.

მესამე ვერსიას, ბათიაშვილი ყველაზე რეალურ ვარიანტს უწოდებს, რითაც მკაფიოდ იკვეთება ავტორის პოზიცია. მწერალი იზიარებს მეცნიერულ თვალსაზრისს რუსეთის სოციალ–დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთის მიერ ილიას მკვლევლობის შესახებ. აქ მოქმედ გმირად შემოდის ფილიპე მახარაძე, რომელიც „მგზავრის



წერილების“ ავტორს მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად სდევს ბრალს, რადგან მას სურს საქართველო „დამოუკიდებელი ბურჟუაზიული სახელმწიფო“ იყოს (ბათიაშვილი 2013: 394).

ბოლშევიკებისათვის დამახასიათებელი რადიკალიზმის მაჩვენებელია ერთ–ერთი საყურადღებო პერსონაჟის – იმერელის სიტყვები: „მხოლოდ მუშათა და გლეხთა ბედზე ზრუნვაა კეთილი საქმე“ (ბათიაშვილი 2013: 376). სწორედ იმერელის ხელმძღვანელობით უნდა შესრულდეს კომიტეტის დავალება – განადგურდეს „საგურამოელი გლეხების ჯალათი“ და „სისხლისმსმელი“ (ბათიაშვილი 2013: 377). ფაქტობრივად, იმერელისა და სხვა პერსონაჟების (ცალთვალა, ახალუხიანი) დიალოგი განასახიერებს ილიას მკვლევლობის ბოლშევიკურ ვერსიას. რა თქმა უნდა, ილიას, როგორც სასტიკი მემამულისა და ექსპლოატატორის, მოხსენიება არ არის ახალი და უცნობი მოსაზრება, მაგრამ მნიშვნელოვანია ის შრეები, რომელთა დახმარებით, ავტორი აჩვენებს ამ მოვლენის დრამატიზმს, ამასთან, აცოცხლებს ემოციურ დამოკიდებულებას, რაც აძლიერებს მგრძობელობას როგორც ამბის, ისე ეპოქის მიმართ.

მრავლისმთქმელი დეტალია მოხარშული დედლის დაგემოვნების ფონზე ილიას – ვიღაც თავადის – მკვლევლობის შესახებ მსჯელობა, ეს რეფლექსია მოიცავს დისკურსს ილიას ნიჭიერებაზე, მის წიგნებზე, რომელიც წაკითხული არ აქვთ, მაგრამ იციან, როგორც გავრცელებული აზრი. საგულისხმოა, ასევე, რომ მკვლევლებს უჩნდებათ ლოგიკური კითხვა, თუ „კარგი კაცია“ და „კარგ წიგნებს წერს“, რატომ უნდა მოკლან, რა დააშავა, რაზეც იმერელის პასუხია, რომ ჩაგრულთა წინაშე უნდა მოიხადონ ვალი, თუმცა იმერელი ამავე დროს აღიარებს, რომ თავად თვალითაც არ ჰყავს ნანახი ილია და ეს მკვლევლობა „მაღლა გადაწყდა“ (ბათიაშვილი 2013: 382). ეს დიალოგი საბოლოოდ სარკასტულ აბსურდში გადაიზრდება. მკვლევლები მსხვერპლის შესანდობარს სვამენ წინასწარ („მოდით, ის კაცი გაანათლოს ღმერთმა და სასუფეველიც დაუმკვიდროს“ (ბათიაშვილი 2013: 382)). შემზარავია ეს ცივისსხლიანობა, რომელიც, ერთი მხრივ, აბსოლუტური უმეცრებით, გადაგვარებით, ხოლო, მეორე მხრივ, შიშითაა ნაკვები, თუმცა ეს უკანასკნელი ვერასდროს იქნება გამამართლებელი ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგი აქცენტს აკეთებს სასტიკ ანგარიშსწორებაზე ოდნავი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი. მაგალითად, მათთან მყოფი ერთი წევრის (მაღალი) სახლი დაწვეს, რადგან შეეცადა თავიანთი ბრძოლის საბოლოო მიზანი გაერკვია, არც მეორეს (ცალთვალა) მოსწონს, რომ მაღალს სახლი ფერფლად უნდა უქციოს, მაგრამ ასეთი დავალება თუნდაც იმიტომ უნდა შეასრულოს, რომ თავად მასზეც ასეთივე ფორმით არ იძიონ შური. შესაძლებელია, ეს პასაჟები შემდგომი ეპოქების მოვლენათა პროეცირებაც იყოს, მაგრამ,

## 6. კუტივაძე

---

ამით კიდევ უფრო მკაფიო ხდება ბოროტებაზე დაფუძნებული ბრძოლის ბუნება და იმთავითვე ანტიჰუმანური ხასიათი, რასაც ვერასდროს ექნება რამე სახით დადებითი შედეგი.

პიესის ერთ–ერთი მთავარი სიუჟეტური ხაზი იქმნება ქართველ თავადთა მოლხენით. ქართველი თავადები, რომლებსაც დრამატურგი არაერთხელ მოიხსენიებს „დროის მათრეველებად“, რითაც მკაფიოდ ახასიათებს მათი ცხოვრების წესს, საკუთარ თავს „ქვეყნის ნაღებსა“ და მამულის ღირსეულ შვილებს უწოდებენ. მართალია, მათი მოლხენის პათოსი მამულის სიყვარულია, მაგრამ ეს უკანასკნელი აბსოლუტურად პროფანირებულია, ავტორის მიერ ირონიზებული და სარკაზმით განსახოვებული. „–ვისაც მამული არ უყვარს, ვისაც საქართველო არ უყვარს, ათას მიზეზს მოიძებნა და წვეთსაც არ დალევს, მაგრამ ვისაც შესტკივა ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოზე, ის შეერკინება ამ ყანწსა და ისე დაცლის, ვითარ ჩვენს წინაპართ მამული დაუცლიათ ურჯულოთაგან!“ (ბათიაშვილი 2013: 357) – ამ სადღეგრძელოს თავადი ლუარსაბი ამბობს. მისი თანამეინახეებიც – დავითი, პორუჩიკი, ყარამანი, ნიკოლოზი, აფროდიტა ამ შემართებას მთლიანად იზიარებენ. ყანწს მამულის გულს ადარებს პორუჩიკი (ბათიაშვილი 2013: 358). ყანწი, როგორც მამულის გული, საკმაოდ გროტესკული მეტაფორაა და მასში კარგად თავსდება სამშოლოს სიყვარულის მაღალფარდოვანი სადღეგრძელოებით გადმოცემის შინაარსისაგან დაცლილი „ტრადიცია“, როდესაც აბსოლუტურად დაშორებულია ერთმანეთს ამგვარი ტექსტების სულისკვეთება და მათი მთქმელების რეალური მისწრაფებები, რაც იმთავითვე ფიქციად აქცევს ყოველგვარ ასეთ ქმედებას. ეს დაცობა დაპყრობილ ქვეყანაში ტრაგიკულია და თავისი მძიმე შედეგები მოაქვს. სიტყვების შინაარსისაგან დაცლა, ამავე დროს, საზოგადოების მენტალურ გამოფიტვასა და, შესაბამისად, ბრძოლისუნარიანობის შესუსტებას იწვევს. ეს საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩვევა ძნელია მხოლოდ დროის კონკრეტული ლოკალით შემოიფარგლოს, ის რაციონალიზმისგან დაცლილ ავტომატურ ქმედებად იქცა თანამედროვე ყოფაშიც, რაზეც მკითხველის კრიტიკული რეაგირება უთუოდ ავტორის ერთ–ერთი მიზანდასახულებაა. ბათიაშვილი ამ საკითხს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს და პიესაში ქეიფით გამოხატულ პატრიოტიზმს თანდათან უფრო აღრმავებს. ლუარსაბი თვლის, რომ სუფრაა მათთვის სკოლაც და უნივერსიტეტიც (ბათიაშვილი 2013: 359), ხოლო პორუჩიკი მიიჩნევს, რომ, სწავლასთან ერთად, სუფრაზე იზრდებიან და კაჟდებიან (ბათიაშვილი 2013: 359). ამგვარ სწავლა–აღზრდის შედეგსაც დრამატურგი იქვე აჩვენებს: ნიკოლოზი ფრაკიან კაცს კონტრაქტით მამულს სთავაზობს არცთუ დიდი თანხის სანაცვლოდ. მამული რომ სარფიანად დააგირაოს, ილიას შეხედულებას, რომ ქართველი

თავადები მამულებს ანიავებენ, სათავისოდ იმოწმებს (ბათიაშვილი 2013: 362).

ქართველ თავადთა გადაგვარებას კარგად აჩვენებს პორუჩიკი, რომელიც, ასევე, თავს იწონებს პატრიოტული განცდებით, თუმცა მამულს აგირავებს, ვალს იმატებს, წუწუნებს, რომ დაკავებულია, მაგრამ რეალურად მისი საქმიანობაც და მოუცლელობაც წვეულებით და საზეიმო ვახშმებით შემოიფარგლება (ბათიაშვილი 2013: 385).

პიესის მიხედვით, საკუთარ უფუნქციობას მაინც გრძნობენ თავადები, რაზეც მეტყველებს მათი კიდევ უფრო დამაკნინებელი თავისმართლება, რომ მთავარი მამულის კი არა, ცხოვრების სიყვარულია (ბათიაშვილი 2013: 374). ამ დამღუპველი ჩანაცვლების ავტორი, ბუნებრივია, მევახშეა, ის, ვინც სხვების დაუდევრობის ხარჯზე მდიდრდება. მწერალი საკუთარი მამულების მიმართ ქართველ თავადთა ზერელე დამოკიდებულებით სამშობლოს ინტერესების დაცვის უუნარობას აჩვენებს.

მრავლისმთქმელია ის პასაჟიც, რომ ამ მოლხენის უცვლელი წევრია რუსი ჩინოვნიკი, რომელიც აღფრთოვანებულია იმით, როგორ უყვართ ქართველებს საკუთარი მიწა-წყალი, რაც, ცინიკურია თავისი არსითაც და გამოხატვის ფორმითაც.

პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირია მოძღვარი. მისი მხატვრული სახე არაერთ აზრობრივ შრეს მოიცავს და საკვანძო ადგილი უჭირავს პიესის სტრუქტურაში. ეს პერსონაჟი რეალურისა და ირიალურის ზღვარზე განსახოვნებული გმირია, რომლის საშუალებითაც დასასრულს ნაწარმოებში პოსტმოდერნისტული ესთეტიკისათვის დამახასიათებელი შტრიხები შემოდის, რითაც ავტორი მკითხველს მუდმივ, უცვლელ ფასეულობებს შეახსენებს.

მოძღვარი, პიესის მიხედვით, მოქეიფეთა თანამეინახეა, მაგრამ არა თანამოაზრე, პირიქით, ის მათი მამხილებელია, მას დისონანსი შეაქვს ქართველ თავადთა მოლხენაში, მუდმივად შეახსენებს მათ, რომ მამული კვლავ მტრის ხელშია და უნდა გათავისუფლდეს, რომ სუფრაზე ყანწით ხელში მამულის დიდება მხოლოდ სიტყვებია, „მამულს კი საქმე, მოვლა სჭირდება“ (ბათიაშვილი 2013: 359). ამგვარი მხილება თავადებს აღაშფოთებთ, თუმცა არ აფხიზლებთ.

საგულისხმოა, რომ მოძღვარი საკუთარ თავს თავადთა სარკეს უწოდებს (ბათიაშვილი 2013: 368), მრავლისმთქმელია სახელიც – ქართველიშვილი, მის მიერ ხაზგასმა იმისა, რომ „ერთი ქართველი კაცია“ მრავალთა მსგავსი (ბათიაშვილი 2013: 369). ეს დეტალი მოძღვარს ქართველის ერის ზოგადი სულისკვეთების გამომხატველ პერსონაჟად და მამხილებელი სინდისის პერსონიფიკაციად აქცევს, რომელიც ვერასდროს დაყუჩდება, ვიდრე ქვეყანა განსაცდელშია.

## 6. კუტივაძე

---

პიესის ბოლო მიზანსცენაში კვლავ თავადთა ქეიფია ასახული. წიწამურის გზაზე გასროლილი ტყვია მათ აფაშფოთებთ, მაგრამ რეაქცია არანაკლებ ტრაგიკულია, თუმცა არცთუ მოულოდნელი. „იყავი შენთვის, შენი ოჯახისათვის“ (ბათიაშვილი 2013: 398), – ესაა ის სამწუხარო დასკვნა, რომელიც დავითს გამოაქვს ამ ტრაგიკული მოვლენიდან. ქვეყნის ბედის მიმართ ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულების მქონე ადამიანებისაგან სავსებით ლოგიკურად ჩანს ისიც, რომ მოძღვრის ძალისხმევა სიგიჟედ, ქართველთა მტრობად აღიქმებოდეს. „დაგვეხსენ, თერგდალეულო!“ (ბათიაშვილი 2013: 379), – ასე მიმართავენ მოძღვარს მისგან გაბეზრებული თავადები, რაც საყურადღებოა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ-საზოგადოებრივი ვითარების კონტექსტში („დამეხსენი ჩრდილოელო“ – აკაკი წერეთლის ეს ფრაზა ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა ამ პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საერთო სულისკვეთებისა).

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ მოძღვრის მხატვრული სახე ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მოხუცის – საქართველოს თანამდევი სულის ინტერტექსტია. მის სიტყვებში „აჩრდილის“ არაერთი მოტივი მკაფიოდ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე, ინტერპრეტირდება ისევე, როგორც თავად ლუარსაბის სახესა თუ მოქეიფეთა მოსაზრებებში „კაცია-ადამიანის“ პერსონაჟთა შეხედულებები მარტივად ამოსაცნობია, მეტიც, ერთ-ერთ სცენაში, როდესაც მოძღვარი რამდენიმე მათგანს ეკითხება, ვინ არის, პასუხად ისმის – „კაცი ვარ, ადამიანი“ (ბათიაშვილი 2013: 378), – რაც "კაცია-ადამიანის?!" პირდაპირი ალუზიაა. შესაბამისად, საკუთარ ნაჭუჭში მშვიდად მყოფი თავადების მყუდროების დარღვევა და გზაარეული საზოგადოების წინამძღოლობა მიზნად აქვს დასახული მოძღვარს.

მოძღვარი გამაერთიანებელ ფიგურად რჩება მაშინაც, როდესაც ტექსტში შემოდის პარტიათა დაპირისპირების ეპიზოდები. „საქართველო გვართა ბრძოლამ დაამხო, დღეს კი საქართველო იმგვარს ისტორიულ პირობებში ჩადგა, როდესაც ხალხის დაყოფა სხვადასხვა პარტიებად, დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ გამთელება, გაერთიანება, ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს დღეს ერთი პარტია სჭირდება – „ქართველთა პარტია“ (ბათიაშვილი 2013: 382). ეს, ერთი შეხედვით, ურავატრიოტული ელფერის მქონე ოპუსი პიესაში საქართველოს ავტონომიის მოწინააღმდეგეთა საპასუხოდ ისმის, მას კიდევ უფრო მეტ მკაფიოობას სძენს „მგზავრის წერილების“ ინტერტექსტი – „ყველა თავის თავს უნდა ეყუდნოდეს, თავისი ქვეყნისთვის უნდა იზრუნოს, ქართველმა კი საქართველოსთვის“, – ამბობს მოძღვარი (ბათიაშვილი 2013: 382), რომელიც პიესის ბოლოს უკვე მარქსისტებს უპირისპირდება.



ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის გასახსნელად საგულისხმოა მოძღვრის მიერ მოთხრობილი იგავი, რომლის მოსმენაც არ სურთ მოქეიფეებს, ნაძალადევად მოსმენილს კი არასერიოზულად აღიქვამენ, რითაც, ასევე, ხაზს უსვამენ საკუთარი ყოფის უმიზნობასა და უშინაარსობას. იგავის მიხედვით, გიორგი XIII–ს ყაზახ–ბორჩალოში სტუმრობისას უთხრეს, რომ იქაური საყოველთაოდ განთქმული ბედაურები აღარ არიან, რადგან „იმ ბედაურებზედ ის უწინდელი ბედაური ქართველები შესხდნენ და გაფრინდნენ“ (ბათიაშვილი 2013: 364). მოძღვარი თვლის, რომ მისი მისია შეუსრულებელია, ვიდრე ყველა ერთად მომავლისთვის არ იბრძოლებს და წარსულით ტკზობას თავს არ დაანებებს. ამიტომ ის ილიას მკვლელობის შემდეგ კვალავ ბრუნდება, რომ „ძირშივე არ შეიკვეცოს ფიქრი ქართველთა, რომ ვიყოთ არა ისეთი, როგორც ვართ, ისეთნი, როგორც უნდა ვიყოთ“ (ბათიაშვილი 2013: 399). ფრაზით „თქვენთან ვიქნები მარად და ყველგან“ (ბათიაშვილი 2013: 399), რომელიც, ასევე, „აჩრდილის“ იოლად ამოსაცნობი ინტერტექსტია („მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“), მოძღვარი ილია ჭავჭავაძის სიმბოლურ სახედ გარდაისახება, შემდეგი ფრაზებით კი ცხადი ხდება, რომ მოძღვარი–ილია ჭავჭავაძე – ბედაურებთან ერთად გაფრენილ ქართველთაგან ერთ–ერთი მობრუნებული ქართველია, რომელიც მოძღვრის სახეში უკვე ყველა იმ წინაპარს აერთიანებს, ქვეყნისთვის რომ იბრძოდნენ და არასდროს მისცემს მოსვენებას დროის მათრეველთ, ყანწით რომ ურჩევნიათ ამტკიცონ სამშობლოს სიყვარული. დაბრუნებული ქართველების იგავი მეტაფორული განსახოვნებაა იმ იდეალისტი ქართველებისა, ეროვნული გამირებისა, მარადიულ ორიენტირებად რომ იქცევიან და საკუთარ ერს გადარჩენისა თუ გამარჯვების ენერგიით ავსებენ.

გურამ ბათიაშვილის, როგორც დრამატურგის, ხელწერას ინდივიდუალიზმს ანიჭებს არაერთი შტრიხი. მათ შორის უნდა გამოიყოს ის ფაქტი, რომ პიესაში პროზისათვის დამახასიათებელი ნიშნები იჩენს თავს, მაგ. „დაბურული ტყის ფოთლებით მოფენილი მიწიდან კაცი ისე წამოიზლანება, გეგონებათ, გუბიდან ამოვიდა და წუმპის სუნიც თან მოჰყვებაო“ (ბათიაშვილი 2013: 355), – ასე აღწერს ბათიაშვილი ერთ–ერთ მიზანსცენას. პეიზაჟის ასეთი შტრიხები, პერსონაჟის ამგვარად დახასიათება უფრო მეტად მკითხველისთვისაა განკუთვნილი. მწერლის მხატვრული სტილისთვის ნიშანდობლივია, ასევე, გამირების პერსონიფიცირება გარეგნული ნიშნებით (მაღალი, ცალთვალა, პირმცინარი), წოდებით (პორუჩიკი, ჩინოვნიკი) ან საქმიანობით (პირველი ივერიერლი, მეორე ივერიელი). ახდენს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მწერალი საკუთარ სახელებით მოიხსენიებს პერსონაჟებს, თვალში საცემია

## 6. კუტივადე

---

პირობითობა და განზოგადების მაღალი ხარისხი. ეს უკანასკნელი თავისი მხატვრული ფუნქციით საერთო პრობლემის ჩვენებას ემსახურება და არა კონკრეტული ისტორიული პირების მხილებას, რაც არც წარმოადგენდა ავტორის მიზანს.

დრამატურგი ილიას მხატვრული ტექსტების ალუზირებით რეფლექსირებს საზოგადოების ნაწილის დეგრადაციაზე, ილიას მკვლევლობასთან დაკავშირებულ ვერსიებზე, რომლებიც მკაფიოდ გამოკვეთს ილიას, როგორც იმპერისათან დაპირისპირებული პატრიოტისა და მოაზროვნის მასშატებზე. ამასთან, კარგად აჩვენებს დაუსრულებელი და დაუღლეელი ბრძოლის აუცილებლობას ეროვნული იდეალების განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით, პიესა აქტუალურია დღევანდელი მთავისთვისაც. მისი ინტერტექსტი თანაბრად მიემართება XIX, XX თუ XXI საუკუნეებს, ერთდროულად წარმოადგენს ავტორის დიალოგს მკითხველთან საერთო წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, რითაც გაცილებით მნიშვნელოვანი და ღირებული ხდება ილიას მოღვაწეობისა და მკვლევლობის მხატვრული რეცეფციის ის ასპექტები, გურამ ბათიაშვილმა რომ შესთავაზა ქართველ მკითხველს.

### ლიტერატურა

- ბათიაშვილი, გ. 2013. *რჩეული თხზულებები*. ტომი III, დრამატურგია. თბილისი: საარი.
- გურული, ვ. 2008. *ჯვარცმული და ჯვარცმელები*. თბილისი. მოძიებულია 15.05.2024. <https://sangu.ge/images/vguruli/29geo.pdf>
- გურული, ვ. (2014). ილია. თბილისი: არტანუჯი.
- ნიკოლეიშვილი, ა. 2008. *ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურული და პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის ისტორიიდან*, II. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა.
- შველიძე, დ. 2013–2014. „რატომ მოკლეს ილია ჭავჭავაძე“. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*. VIII. 2013–2014.

## Literature and Literary Theory

### Peculiarities of the Reception of Ilia Chavchavadze's Work and Murder in Guram Batiashvili's Play "Returned Georgians"

**Nestan Kutivadze**

nestani.kutivadze@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.15>

*Guram Batiashvili entered the writing arena in the 60s of the 20<sup>th</sup> century, when many significant trends were developed in Georgian literature and highly impressive texts were created in almost all genres. The publicist, prose writer and dramatist immediately attracted attention by his artistic interpretation of Georgian-Jewish relations, the originality of the solution, and his directness. In this regard, both novels and dramaturgical works should be noted. The play "Returned Georgians", which depicts the vicissitudes related to the murder of Ilia Chavchavadze, is no exception. The artistic embodiment of an outstanding thinker in Georgian literature turned out to be especially significant in modern Georgian writing, which was facilitated by the historical changes at the end of the 20<sup>th</sup> century. It is true that the "murder of the century" has already been studied quite well, but the emotional attitude towards Ilia's tragic end does not change. Artistic representation contributes to the in-depth understanding of Ilia's work and gaining an insight into the essence of true values, which is equally important even today. Modern Georgian authors, including Guram Batiashvili, participate in this continuous process.*

**Keywords:** dramaturgical works, artistic representation, reflection.

Guram Batiashvili entered the writing arena in the 60s of the 20<sup>th</sup> century, when many significant trends were developed in Georgian literature and highly impressive texts were created in almost all genres. The publicist, prose writer and dramatist immediately attracted attention by his artistic interpretation of Georgian-Jewish relations, the originality of the solution, and his directness. In this regard, both novels and dramaturgical works should be noted. The play "Returned Georgians", which depicts the vicissitudes related to the murder of Ilia Chavchavadze, is no exception.

The artistic embodiment of an outstanding thinker in Georgian literature turned out to be especially significant in modern Georgian writing, which was facilitated by the historical changes at the end of the 20<sup>th</sup> century. It is true that the "murder

## 6. კუტივადე

---

of the century” has already been studied quite well, but the emotional attitude towards Ilia’s tragic end does not change. Artistic representation contributes to the in-depth understanding of Ilia’s work and gaining an insight into the essence of true values, which is equally important even today. Modern Georgian authors, including Guram Batiashvili, participate in this continuous process.

The author calls “Returned Georgians” a play-study of the fate of the nation, which directly shows the writer’s goal to understand the reasons that led the country to the state where the Georgians – the people blinded and misled by false slogans became the implementers of the empire’s will.

Guram Batiashvili takes the year 1907 as the time of the story told in the play, and Saguramo’s surroundings – as the place, which is a logical choice for the location. But from time to time the writer deviates from the chronotope predetermined by him, puts on the author’s mask and starts a dialogue with the reader/spectator. It is clear that the text is more focused on understanding the causes of what happened rather than telling the story. For this purpose, the function of the narrator in the play is performed by the first and second Iverians (employees of the newspaper “Iveria”), who enter the scene and restore the sequence of events according to the periodicals of that time. They explain the essence of the situation, inform the reader/spectator about the evaluation of Ilia’s work and the various opinions published in the press regarding his murder. At the beginning of the play the author’s reception of Ilia’s work is disclosed through them - “This is the story of an unlucky struggle with its own people for the salvation of Georgia” (Batiashvili, 2013, p. 355). This is how the writer evaluated the events that began with Ilia’s murder in 1907 and ended with the occupation of Georgia in 1921. The *mise-en-scène* of the play is significant. As the author points out, the performance should be performed simultaneously in several stage spaces. Content plans are emphasized by shifting attention to space-time details. The unified space-time of the play – the surroundings of Saguramo in 1907 – is divided into several stage spaces. One is the scenic environment of the Tsitsamuri forest, and the other one – the scenic space around the long table. As the story unfolds the parallel scenes take place in the environment created by these scenographic details. At times, one scenic environment is brought to the fore, alternating with another. The first and second Iverians stand beyond these spaces. They are the narrators of the content of the publications of that time. In this way, the author not only highlights significant aspects, but also reminds the spectator/reader of the different versions existing in the society at that time.

Obviously, the write does not change anything in the historical records, does not create a new legend, but offers everything with individual sensitivity. They are guided by the perceptions of that time, the ignorance of which may, in some



cases, have made the murder inevitable, and turned the killers into blind weapons. The playwright shares a scientific point of view about Ilia's assassination by the Bolshevik wing of the Russian Social Democratic Labour Party.

One of the main story lines of the play is created by the feast of the Georgian princes. Georgian princes call themselves "the cream of the country" and worthy sons of their homeland. It is true, the pathos of their feast is the love of their country, but the latter is absolutely profane, ironized by the author and imbued with sarcasm.

The passage showing a Russian official, a regular member of this feast, who admires the love of the Georgians toward their homeland, speaks volumes. It is cynical both in its essence and form of expression.

One of the main characters of the play is the priest. His artistic face comprises many meaningful layers and occupies a central place in the structure of the play. This character is a hero depicted on the boundary between the real and the surreal, by means of which the characteristic features of postmodernist aesthetics are introduced at the end of the play. In this manner, the author reminds the reader of constant, unchanging values.

According to the play the priest unmasks the feasters and brings dissonance to the feast of the Georgian nobility, constantly reminding them that the country is still in the hands of the enemy and must be freed. In general, it should be said that the artistic face of the priest is the intertext of the old man in "The Ghost" by Ilia Chavchavadze - the spirit of Georgia. In his words many motifs of "The Ghost" are clearly interpreted, without any concealment, while in the opinions of the feasters, the views of characters from "Is a Man a Human" can easily be identified. The priest remains a unifying figure even when the episodes of the conflict between the parties are introduced in the text.

The parable told by the priest about the returned Georgians is significant for opening the author's artistic idea. The parable serves as a metaphorical representation of idealistic Georgians, national heroes, who act as an eternal guiding lights infusing their nation with the energy for survival and victory.

Alluding to Ilia's artistic texts, the playwright reflects on the degradation of some part of the society, on the versions related to Ilia's murder, which clearly outline the dimensions of Ilia as a patriot and thinker opposed to the empire. At the same time, it effectively demonstrates the necessity of endless and tireless struggle for the realization of national ideals. In this regard, the play is still relevant today. Its intertext equally refers to the 19<sup>th</sup>, 20<sup>th</sup> or 21<sup>st</sup> centuries, at the same time it represents the author's dialogue with the reader about the common past, present and future, thereby making the aspects of the artistic reception of Ilia's work and murder, which Guram Batiashvili offered to the Georgian readers, more important and valuable.